



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ზ უ გ დ ი დ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ტ ი ს მ მ რ ი ა
GEORGIA
ZUGDIDI MUNICIPALITY CITY HALL

მერის ბრძანება

N 468
18/12/2017

468-02-4-201712181719



**ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის შინაგანაწესის
დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის შინაგანაწესი დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებას უზრუნველყოს მიღებული შინაგანაწესის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოხელეებისთვის გაცნობა.
3. აღნიშნული ბრძანება გამოქვეყნდეს მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.
4. ბრძანება ამოქმედდეს საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 54-ე მუხლის I პუნქტის შესაბამისად გაცნობისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 180-ე მუხლის პირველი ნაწილის და საქართველოს კანონის „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად გაცნობის დღიდან 1 თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. ზუგდიდი, რ. ლაღიძის ქ. N12).

ლაშა გოგია

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერი